

მუხრან მაჭავარიანი – „ყაყაჩოსავით მზეა წითელი“ (1832)

ავტორი თამარ ვაშაკიძე

არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (საქართველო) ფილოლოგიის

მეცნიერებათა დოქტორი

ელფოსტა: tamarvashakidze@yahoo.com

1832... მმართველობის სისტემა – რუსული, ქართული კულტურა და მეურნეობა – განადგურებული, ეროვნული სულისკვეთება – ჩამკვდარი...

მუხრან მაჭავარიანის მდიდარ და ნაირგვარობით ამოუწურავ შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს ლექსების ციკლი „1832“, რომელიც ფაქტობრივად პოემა-პიესას წარმოადგენს – არა-ორდინარულად გაწყობილსა და გააზრებულს. პირობითად მას შეიძლება ასე ეწოდოს: „ყაყაჩოსავით მზეა წითელი“ – ფრაზა ერთი ლექსიდან, რომელიც ამ ციკლის შემადგენელი ნაწილია. მუხრანის თვალით აღბეჭდილი 1832 წლის მზე საქართველოსი სიმბოლოა გმირ წინაპართა ყაყაჩოსფრად დაღვრილი სისხლისა – ამიტომ გასდევს ის („ყაყაჩოსფერი მზე“) ლაიტმოტივად მთავარ სათქმელს – 1832 წლის ტრაგედიას.

მე-20 საუკუნის სატკივარს მუხრან მაჭავარიანი პერსონაჟებად ხორცშესხმულ 1832 წლის შეთქმულთა ნააზრევში ამჟღავნებს. მოქმედი პირნი მონოლოგებით გამოხატავენ თავიანთ ნაფიქრალს – ეძებენ როგორც სამშობლოს ხსნის გზას, ისე მარცხის მიზეზებს ერისას, ხოლო მოქმედების დრო, ადგილი, ვითარება, სადეკორაციო ფონი და – ზოგადად – ანტურაჟი გააზრებულია ძალზე ორიგინალურად, კერძოდ, პოეტური რემარკების სახით სათაურებსა და ფრჩხილებში ჩასმულ ფრაზებში.

საპიესო ტექსტი მოიცავს ექვს „სიტყვას“, სამ „ფიქრს“ და ერთ „აღსარებას“, რასაც მთლიან დეკორაციულ სურათად აერთიანებს „ყაყაჩოსავით“ „წითელი მზე“, ხოლო ერთგვარ ბოლოთქმად წარმოგვიდგება „ადამიანზე გულგატეხილი“ პოეტის გულიდან ამოძახილი: „ვებლაუჭები ტატოს მერანსდა“.

მოქმედ პირთა სათქმელი სათაურების მიხედვით ასეა განაწილებული: „სიტყვა თქმული ფილადელფოს კიკნამის მიერ, ძმათა თვისთა თანა, შუამთაში“. ამ პერსონაჟს მეორე ეპიზოდში აქვს პიესაში: „სიტყვა თქმული ისევ ფილადელფოს კიკნამის მიერ, ისევ ძმათა თვისთა თანა, ისევ შუამთაში“, რასაც მოჰყვება „სიტყვა წარმოთქმული ჩაიზე, მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანის ოჯახში სოლომონ რაზმამის მიერ“; ან კიდევ: „სიტყვა თქმული ბიძინა ამილახორის მიერ მაშავრის პირას – ჭერმიჭალაში“; „სიტყვა თქმული ვახტანგ ორბელიანის მიერ ორთაჭალაში, ტივზე“; „სიტყვა ალექსანდრე (ბატონიშვილისა), მეთხრა რომელიც მაშინ – თეთრი ღამის ადგილს, – დღე რომ იჭერდა შავი“.

რაც შეეხება „ფიქრებად“ გააზრებულ საპიესო მონოლოგებს, ისინი შემდეგნაირად წარმოუდგება მკითხველს: „ფიქრი ელიზბარ ერისთავისა, – გზად შინდისიდან შინ რომ ბრუნდებოდა, ეტლით“; „ფიქრი იასესი, – ამილახვრიანთ აივანზე, – ბადრი მთვარის ჭვრეტის ჟამს“; „ფიქრი ქოსა მუსტაფასი იბრეიმ ყარა მაჰმად ოღლის ძმის ქორწილში“ (სათაურშივე გააზრებული ლაღი იუმორის თანხლებით); დაბოლოს, „აღსარება თქმული ს. დოდაშვილის მიერ თბილისის სიონში, აღდგომის წინა დღეს“.

დასახელებულ ციკლს („1832“) ემატება ამავე თემაზე დაწერილი კიდევ რამდენიმე ლექსი, რომლებიც ავსებენ 1832 წლის სათქმელს – მუხრან მაჭავარიანის თვალით დანახულსა და პოეზიად განხორციელებულს.

* * *

სიტყვა თქმული ფილადელფოს კიკნაძის მიერ,
ძმათა თვისთა თანა, შუამთაში

პოემა-პიესის ერთ-ერთი მოქმედი პირია ფილადელფოს კიკნაძე, რომელიც ორ მონოლოგს წარმოთქვამს: „სიტყვა თქმული ფილადელფოს კიკნაძის მიერ, ძმათა თვისთა თანა, შუამთაში“ და „სიტყვა თქმული ისევ ფილადელფოს კიკნაძის მიერ ისევ ძმათა თვისთა თანა ისევ შუამთაში“.

ცნობილია, რომ ფილადელფოს კიკნაძე იყო 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური. სწორედ მან შეადგინა შეთქმულების წესდება და ფიცი, აგრეთვე შექმნა საიდუმლო ანბანი მიმოწერისათვის. საამისოდ გამოიყენა ძველი ქართული დამწერლობაც და ნაწილობრივ – ლათინური ანბანიც. ცნობილია ისიც, რომ ფილადელფოს კიკნაძე ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას – წერდა ლექსებს.

პირველ „სიტყვაში“ პერსონაჟი ქართველებს ადანაშაულებს იმის გამო, ხმლის მაგივრად ჯიხვის რქანი რომ უჭირავთ ხელში. ასეთ ქმედებას ვერ შეუნდობს მათ მომავალი თაობა – ვერც უმოქმედობას აპატიებს. საკუთარ გულისტკივილს პოემის გმირი მონოლოგის სახით წარმოთქვამს.

ტექსტი სამი მონაკვეთისაგან შედგება, რომელთაგანაც პირველი ორი ასე იწყება: „ამას, იმას, რომ თვალი მტერზე უნდა გვეჭიროს“... და „ამას, იმას, რომ ხელში ხმალი უნდა გვეჭიროს“...; ლექსის პირველი ორი ეპიზოდი იმიტაც ჰგავს ერთმანეთს, რომ ორივე შემთხვევაში დაისმის ერთი და იგივე კითხვა:

„ვინ, ვინ შეგვინდოს, ანდა რატომ უნდა შეგვინდოს!“, ხოლო მესამე ნაწილი მოწოდება-სურვილს წარმოადგენს („იბასიანოს, დროა, დროა ქართულმა სუფრამ“...), რომელიც ამავდროულად ერთგვარი გაფრთხილებაცაა ქართველი ერისა: „მოდის მერმისი – ცოცხით ხელში – მკაცრი და სუფთა“.

სათქმელს აძლიერებს პოეტური გამეორება, კონტრასტული გამონათქვამები, რიტორიკული კითხვები, სალექსო მეტრის ორიგინალური სტრუქტურა შესაფერისი რითმული ჩარჩოთი და (რაც მთავარია) დიდოსტატურად გაზმნავებული სახელით – „იბასიანოს“:

„ამას,
იმას რომ,
თვალი მტერზე უნდა გვეჭიროს,
ჩვენ კი,
მტრისა წილ,
ღრეობაზე გვიჭირავს თვალი:
ვინ,
ვინ შეგვინდობს,
ანდა რატომ უნდა შეგვინდოს, –
ერთი მითხარი!
ამას,
იმას რომ: ხელში ხმალი უნდა გვეჭიროს,
ჩვენ კი,
ხმლისა წილ,
ჯიხვისანი გვიჭირავს რქანი:

ვინ,
ვინ შეგვინდობს,
ანდა რატომ უნდა შეგვინდოს, –
ერთი მითხარი!
იბასიანოს, დროა, დროა,
ქართულმა სუფრამ! – მოდის მერმისი –
ცოცხით ხელში – მკაცრი და სუფთა“.

სიტყვა თქმული ისევ ფილადელფოს კიკნაძის მიერ ისევ ძმათა
თვისთა თანა ისევ შუამთაში

მეორე სიტყვა ფილადელფოს კიკნაძისა ორეპიზოდია. სურათი ისევ იგივეა, მაგრამ ახლა პერსონაჟის სიტყვის მთავარი აზრი არაქართული საქციელის – „სულყველაფერზე თავის კანტურის“ – კრიტიკას წარმოადგენს, რაც გამჟღავნებულია პირველ და მეორე მონაკვეთებში, მომდევნო ეპიზოდები კი შეახსენებს ქართველს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს უცხოტომელის კოცნას...

მონოლოგის პირველი ნაწილი აგებულია პოეტური შედარების მოხმობით („როგორც ახალი ნაჭინჭრაქალი – ტოკავს ასკილი, ანდა გრაკალი...“), რასაც მოსდევს მუხრან მაჭავარიანის პოეზიისათვის დამახასიათებელი ერთი საინტერესო სტილისტიკური მახასიათებელი – ფრჩხილებში ჩასმული დამატებითი ფრაზა, რომლის ბოლოკიდური სიტყვა სართიმო ერთეულიც არის ამავდროულად:

„როგორც ახალი ნაჭინჭრაქალი, –
ტოკავს ასკილი,
ანდა გრაკალი:
ზუსტად იმგვარი,
ზუსტად ისეთი
(ყველა სიგლახის როა მიზეზი), –
სულყველაფერზე თავის კანტური,
საქციელია არაქართული!“

შემდეგ ფილადელფოს კიკნაძე მედეასა და იაზონის ამბავს იხსენებს. სალექსო ეპიზოდი აგებულია სართიმო ერთეულების საოცარი შემსგავსებით: „იაზონს“ – „იაბო“ – „იაზროს“ – „იმ ამბორს“ და – „ვამბობ“. თვალშისაცემია აგრეთვე მუხრანისეული იუმორნარევი კილო („ტვინმა ქე მაინც უნდა გიაზროს“), რაც სათქმელს მეტ სილაღესა და სისხარტეს მატებს:

„უცხოს როდესაც ჰკოცნი იაზონს
და ზურგზე ისვამ,
როგორც იაბო,
თავმა თუ არა,
ტვინუსუარო,
ტვინმა ქე მაინც უნდა გიაზროს, –

რა შეიძლება მოჰყვეს ამ ამბორს.მე ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, –
ვიცი:
ხამს ხოლმე რა დროს ძმა ძმისთვის,
ვიცი,
რა მოჰყვა მედეას ამბორს,
როგორ დავკარეთ, მახსოვს, საწმისი“.

რაც შეეხება პოემის გმირის ბოლო ეპიზოდს, ის პირველი ნაწილის ანალოგიურია – მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იცვლება შესიტყვებათა („ზუსტად იმგვარი, ზუსტად ისეთი“; „თავის კანტური“) ერთ-ერთი კომპონენტის ფორმა (კერძოდ, ბრუნვა: „ზუსტად იმგვარით, ზუსტად ისეთით“ და „თავის კანტურით“), ხოლო დასკვნით ნაწილში მკითხველის წინაშე მჟღავნდება ის, თუ რით შეიძლება დასრულდეს „თავის კანტურის“ პოლიტიკა:

„როგორც ახალი ნაჭინჭრაქალი, –
ტოკავს ასკილი,
ანდა გრაკალი:
ზუსტად იმგვარით,
ზუსტად ისეთით
(ყველა სიგლახის როა მიზეზი), –
სულყველაფერზე თავის კანტურით,
ენაც დავკარგეთ კნინლა ქართული!“

სიტყვა წარმოთქმული ჩაიზე, მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანის ოჯახში,
სოლომონ რაზმაძის მიერ

სოლომონ რაზმაძე პიესის ერთ-ერთი პერსონაჟია – პოეტი, მთარგმნელი (ცნობილია, რომ სწორედ მან გააცნო პირველად ქართველებს ადამ მიცკევიჩის „ფარისი“. ის გატაცებით თარგმნიდა აგრეთვე ა. ს. პუშკინის პოეზიას).

სოლომონის კალამს ეკუთვნის პოლიტიკურ თემაზე დაწერილი არაკი „დათვი და ცხვარი“, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა შეთქმულთა შორის.

მამული იყო სოლომონ რაზმაძის მთავარი სატკივარი, რაც ჩანს კიდევ კარგად მის ნაწერებში. სამწუხაროდ, ს. რაზმაძის შემოქმედების დიდი ნაწილი (ძირითადად – გადასახლებაში დაწერილი ლექსები) დაიკარგა მისი შვილის (ალექსანდრე რაზმაძის) არქივთან ერთად.

1834 წლის 24 ივნისს გადასახლების უმძიმეს გზას გაუდგა ორი სოლომონი – საქართველოს ორი საუკეთესო წარმომადგენელი – სოლომონ დოდაშვილი და სოლომონ რაზმაძე. გასაკვირი არ არის, რომ მუხრან მაჭავარიანმა ლექსების აღნიშნული ციკლის ერთ-ერთ მოქმედ პირად სწორედ სოლომონ რაზმაძე შეარჩია, ხოლო გარემოდ – ოჯახი მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანისა. ეს უკანასკნელი იმ დროისათვის სახელგანთქმული ვაჟკაცი ყოფილა. მის შესახებ ლეგენდებიც კი ითხზებოდა თურმე.

სოლომონ რაზმადის სალექსო მონოლოგი ორნაწილიანია და ორივე მონაკვეთი ერთად ექვსი რიტორიკული შეკითხვისაგან შედგება. პირველ ეპიზოდში სამი კითხვა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: შეკითხვა, რომელიც გამოხატულია ფრაზეოლოგიური გამოთქმით („როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?!“), შეკითხვა დამატებითი ინფორმაციის სახით, რაც ფაქტობრივად პოეტისეულ საპიესო რემარკას წარმოადგენს („ქვეყანას ღვიძავს! – დღეს სძინავს ვისდა?!“) და შეკითხვა კუთვნილებით ნაცვალსახელთა პოეტური გამეორებისა და „ზ“ ბგერის ალიტერაციის თანხლებით („ჩვენი მზის სხივს და ჩვენი ზვრის ყურძენს როდემდე უნდა ვიღებდეთ სხვისგან?!“):

„როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?!
(ქვეყანას ღვიძავს! –
დღეს სძინავს ვისდა?!)
ჩვენი მზის სხივს და
ჩვენი ზვრის ყურძენს
როდემდე უნდა ვიღებდეთ სხვისგან?!“

მონოლოგის მეორე ნაწილის პირველი პწკარი ლექსის პირველ წინადადებას იმეორებს აზრის გაძლიერების მიზნით („როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?!“), რასაც მოჰყვება პოეტის გულისტკივილი თუ გაკვირვება შექმნილი ვითარების გამო (ფრჩხილებში ჩასმული გამონათქვამის სახით: „ნეტავი, ჩვენში ყოველგვარი რამ ჩაჰკლა რისკი?!“). მესამე ფრაზა კვლავ რიტორიკული შეკითხვაა, რომელიც მოქმედებისაკენ – ბრძოლისაკენ მოუწოდებს ქართველებს:

„როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?!
(ნეტავი, ჩვენში ყოველგვარი
რამ ჩაჰკლა რისკი?!) –
და დუმილისკენ,
ღრმა დუმილისკენ –
გვეჭიროს უნდა როდემდე კურსი?!“

სიტყვა თქმული ბიძინა ამილახორის მიერ მაშავრის პირას –
ჭერმიჭალაში

მიაბიჯებდა ალბათ ჭერმიჭალის მიდამოებში საქართველოს იმდროინდელი ვითარებით გულდამძიმებული ბიძინა ამილახორი და ფიქრობდა სამშობლოზე – მის ხსნაზე... მომავალზე. პერსონაჟის სიტყვა ორმონაკვეთიან მონოლოგს წარმოადგენს. სალექსო ტექსტი იწყება „ახალი მთვარის“ „მოხუცის წარბთან“ ასოცირებით, რის შემდეგაც პიესის გმირი იგონებს დაღონებულ საბასა და ფარნავაზს, რასაც მოჰყვება ახსნა დიდ მამულიშვილთა გულისტკივილისა: „ვახტანგის ადგილს იჭერს ხეჩუა!“ ამ „წარბთა“ მიღმა მთელი საქართველოს სატკივარი ჩანს, რაც მკითხველის თვალწინ საოცარი პოეტურობით იძერწება (განსაკუთრებულ გარემოში – მაშავრის პირას):

„ახალი მთვარე –
მოხუცის წარბი,
ერთი შეხედვით:
ლიმილი ყალბი...
წარბი საბასი
თუ ფარნავაზის,
დაღონებული ზის
გალავანზე:
ვახტანგის ადგილს
იჭერს ხეჩუა! –
გვეცლება ქართლი
თვალდახელშუა!“

თვალშისაცემია სარიტმო ერთეულებიც („წარბი“ – „ყალბი“, „ფარნავაზის“ – „გალავანზე“, „იჭერს ხეჩუა“ – „თვალდახელშუა“).

სიტყვა თქმული ვახტანგ ორბელიანის მიერ ორთაჭალაში, ტივზე

ერთ-ერთი „სიტყვა“ ვახტანგ ორბელიანს ეკუთვნის. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილე რომანტიკოსი პოეტის სატკივარი საქართველოში „გუგულის კვერცხების“ მომრავლებას უკავშირდება: ბედკრულ სამშობლოს ნელ-ნელა უცხოტომელები ეპატრონებიან, თუმცა ყველა ჩუმად არის... მართალია, საქართველოსათვის ამგვარი ვითარება უცხო არასდროს ყოფილა, თუმცა საშიშროება ყოველთვის იყო, გუგულს არ დარჩენოდა ბუდე მერცხლისა.

მონოლოგი ოთხი პატარა მონაკვეთისაგან შედგება. პირველ ეპიზოდში ჩანს, რომ „სიკვდილის ელჩი“ არაერთგზის მოსდგომია ჩვენს სამშობლოს, თუმცა აღნიშნულია ისიც, რომ ასე უხვად „გუგულის კვერცხი“ მანამდე არავის ენახა:

„საქართველოში მრავალჯერ თუმცა
სიკვდილის მოდგა ელჩი;
გუგულის კვერცხი
ესოდენ უხვად
ჯერ არ ყოფილა ჩვენში!“ რასაც მოჰყვება ლექსად მოთხრობი-
ლი ამბავი გუგულის ბარტყთა ურცხვი საქციელის შესახებ:

„დოლაბი ბევრი ბრუნავდა თუმცა
ქართველი ხალხის თხემზე;
გუგულის ბარტყი
ესოდენ ურცხვად
არ მოქცეულა დღემდე!
მრავალჯერ თუმცა ვაჟკაცთა საფლავს
დედის ათოვდა თმანი;
სიტყვა ქართული

ესოდენ მძაფრად
არ სწყურებია დმანისს!“

დიდოსტატური მეტაფორული სათქმელი ბოლოვდება „სირცხვილით დამწვარი“ „კრწანისის ცეცხლის“ შემზარავი სურათით, რომელზედაც ასევე აღიბეჭდება იშვიათი პოეტურობით შერჩეული სარიტმო ერთეულები („მერცხლის“ – „ცეცხლი“):

„საცაა, გუგულს, ვიცი და ვიცი, –
ბუდე დარჩება მერცხლის...
სირცხვილით იწვის,
სირცხვილით იწვის
კრწანისის ველზე ცეცხლი!“

სიტყვა ალექსანდრესი (ბატონიშვილისა), – მეთხრა რომელიც მაშინ. – თეთ-
რი ღამის ადგილს. – დღე რომ იჭერდა შავი

არის კიდევ ერთი ლექსი („სიტყვა“), რომელიც დასახელებულ ციკლში („1832“) არ არის გათვალისწინებული, თუმცა აშკარაა, რომ ამავე თემატიკას ეძღვნება. სათაურში სიტყვის ავტორთან ერთად მითითებულია მოქმედების დროც და ადგილიც. ყურადღებას იქცევს აგრეთვე პოეტის მიერ ვნებიტის ფორმით („მეთხრა“) მოხმობილი ზმნა-შემასმენელი.

ალექსანდრე ბატონიშვილი (ერეკლე II-ის ძე) 17 წლიდან უკვე მონაწილეობდა ქვეყნის მართვა-გამგეობაში. ის ხელმძღვანელობდა ალა-მაჰმად-ხანის მიერ დანგრეული თბილისის აღ-დგენას, ხოლო როდესაც ქართლ-კახეთი რუსეთს შეურთდა, ბატონიშვილმა დაიწყო ბრძოლა სამეფოს აღსადგენად; რუსეთ-ირანის ომის დროს (1804-1813) კი თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ. 1812 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოვიდა და კახეთის აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ მისი მოწვევა საქართველოს მეფედ. სიცოცხლის ბოლო წლები ალექსანდრე ბატონიშვილმა სილატაკეში გაატარა.

საქართველოს შველას ღამობდა ბატონიშვილი, თუმცა უჭირდა მარტოკაცს ერთი ხმლით ბრძოლა და მწარედ შეიგრძნობდა „ხელმწიფური აზრის“ ე. წ. „ტკბილი ნაყოფის“ გემოს – თავისუფლებადაკარგული ერის სატკივარს.

მკითხველს ადაფრთოვანებს ლექსის დასასრული – ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონების დიდოსტატურად მოხმობა, რაც მკაფოდ წარმოაჩენს მუხრანის სათქმელს:

„საქართველოს შველასა ვლამი!
საქართველოსი საღმობა მელმის!“
კრავი არც მე ვარ, თუმცა, აბრამის! –
მგლობას დამწამებს, ეს კია, ვერვინ!

მსურს ისიც გითხრა:
შველა კი მიინდა,
მაგრამ ეს საქმე

როგორ და ვით ვქმნა
მე, – კაცმა ერთმა, –
ამ ერთის ხმლითა?!

საქართველოს შველასა ვლამი
(ცრემლისა საქმეს ვერ შველის წვიმა):
ვწყევ მამას ჩემსა,
თუმც, ვიცი, მამის
წყევლა
წესიერს
არ ჰმართებს
შვილსა!

არადა, –
ტვინში ამასხა სისხლმა! –
გულზე მასივებს მოგება ნიშნის:
„აჰა, –
აღსრულდა,
ხელმწიფური,
აწ, –
ჰაზრი
მისი
და სჰამ ნაყოფსა
შენ
მისგან
ტკბილსა!“

„საქართველოს შველასა ვლამი“ და „საქართველოსი საღმობა მელმის“ – ეს ცხოვრების წესია მუხრან მაჭავარიანისა და, შესაბამისად – მთელი მისი შემოქმედების პოეტური რეზიუმეც...

ლექსის მხატვრულ ეფექტს აძლიერებს რითმულ-რიტმული ყალიბის საოცარი მოზაიკური ფონი.

ფიქრნი ელიზბარ ერისთავისა, – გზად – შინდისიდან შინ რომ
ბრუნდებოდა, ეტლით

როგორც ზემოთ ითქვა, აღნიშნული ციკლი „ფიქრებსაც“ მოიცავს (სამი ფიქრი). ამ შემთხვევაშიც პოეტისეული რემარკები სათაურებშია განფენილი. ერთ-ერთია „ფიქრი“ ელიზბარ ერისთავისა, რომელიც ასევე ქსნის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო, პირდაპირი შთამომავალი იასე ყულარაღასისა. ის აქტიურად მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, რის გამოც 1834 წელს გაასამართლეს და დაატუსაღეს კიდეც ავლაზრის ყაზარმაში.

მუხრან მაჭავარიანმა ეს ლექსი (ელიზბარ ერისთავს რომ ათქმევინებს მონოლოგად) 1970 წელს დაწერა... დღის წესრიგში კვლავ იდგა ორი საკითხი: „ქართლის ჭირი“ და „ბედი ქართლისა“:

„აღარც საბაა,
აღარც ბესიკი,
აღარც ვახტანგი,
აღარც არჩილი, –
არადა
ისევ დგას დღის წესრიგში
ბედი ქართლისა
და ქართლის ჭირი“.

ფიქრნი იასესი, – ამილახვრიანთ აივანზე, – ბადრი მთვარის ჭვრეტის ჟამს

მეორე ფიქრი იასესია, შეთქმულების გაცემა რომ ედება ბრალად. მიუხედავად ამისა – მეფის მთავრობამ ის მაინც დასაჯა (გადაასახლეს ჯერ ფინეთში, შემდეგ – ასტრახანში). იასეს ფიქრი გულსაკლავია – ფაქტობრივად აღსარებაა მხდალი კაცისა... დგას იასე ამილახვრიანთ აივანზე, თავისი ქვეყნის ბედზე ფიქრობს და წუხს:

„ყოველთვის, როცა მოვახტი მერანს,
ოდეს ღიმილი მომმაგდა ზეპირ,
შემომანათა სიკვდილის ცელმა,
სიმხდალემ ჩემმა მომიჭრა გზები“.

„ბადრი მთვარის ჭვრეტის ჟამს“ ტკივილი უმძაფრდება პერსონაჟს და მოსვენებას არ აღწევს ორი „მზერა“ – წინაპრისა და შვილის:

„აშკარად ვხედავ:
უძველეს კერას
აკლია შეშა,
შრეტს ლაჩრის ცრემლი;
და მტანჯავს მზერა –
გამჭოლი მზერა –
წინაპრის ჩემის
და შვილის ჩემის“.

ფიქრნი ქოსა მუსტაფასი იბრეიმ ყარა მაჰმად ოღლის ძმის ქორწილში

არის კიდევ ერთი „ფიქრი“ და, შესაბამისად, კიდევ ერთი ახალი პერსონაჟი პოემა-პიესისა „1832“.

საინტერესოა, რომ ერის სატკივარს, მის ჭირ-ვარამსა და უბედობის მიზეზსაც ხშირად სხვა თვალი უფრო ზუსტად შეამჩნევს და შეაფასებს ხოლმე. სწორედ ამგვარი კაცია ქოსა მუსტაფა, რომელიც კარგად ხედავს, თუ რა შეიძლება იყოს ხსნა „ქართლის ჭირისა“.

მუხრანისეული იუმორი სათაურშივე მჟღავნდება – იბრეიმ ყარა მაჰმად ოღლის ძმის ქორწილში ქოსა მუსტაფა წუთისოფლის უკუღმართობაზე ფიქრობს, ხოლო მონოლოგიდან აშკარად ჩანს, თუ რა შეიძლება იყოს გამოსავალი ასეთ დროს. ეს პატარა ლექსი ფაქტობრივად მოწოდებას წარმოადგენს, მუხრანის მოწოდებას – ქართველი კაცის გამოსაფხიზლებლად წარმოთქმულს...

ორიგინალურია ლექსის მეტრული ყალიბი და რითმული ჩარჩო, აგრეთვე – სიტყვათა რიგი ბოლო პწკარისა, რომელიც „იგი“ ნაცვალსახელით (ქვემდებარით) ბოლოვდება და განსაკუთრებულად გამოკვეთს სათქმელს:

„წუთისოფელი ამნაირად იმიტომ მიდის, –
კაი ხანია, კაცი არ ჩანს ნამდვილად დიდი!
წესი და რიგი, –
დღეს როა ირგვლივ, –
მყის დაიმსხვრევა, –
გამოჩნდება როგორც კი იგი!“ – ამის იმედი აქვს მუხრან მაჰმადიანს მეოცე საუკუნის 70-იან წლებში.

აღსარება თქმული ს. დოდაშვილის მიერ თბილისის სიონში,

აღდგომის წინა დღეს

სოლომონ დოდაშვილი – ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ავტორი მრავალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომისა ლოგიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის სფეროში – 1832 წლის შეთქმულების იდეური ხელმძღვანელი. მასვე ეკუთვნის ტექსტი იმ მოწოდებისა, რომლითაც აჯანყების ორგანიზატორებს ხალხისთვის უნდა მიემართათ.

1832 წელს ს. დოდაშვილი დააპატიმრეს, 1836 წელს გარდაიცვალა ვიატკის (რუსეთი) საპყრობილეში; 1999 წელს ვიატკიდან საქართველოში გადმოსვენეს – დაკრძალულია თბილისის მთაწმინდის პანთეონში.

პოემა-პიესის („1832“) აღნიშნული მონაკვეთი წარმოადგენს ს. დოდაშვილის მონოლოგს. ის დამნაშავედ მიიჩნევს თავს იმის გამო, რომ ცოცხალია, თუმცა სულს დაფავს, სამშობლოს უმძიმესი მდგომარეობით შეპყრობილი; თუ ქმნის რაიმეს – მხოლოდ სასჯელის შესამსუბუქებლად.

ს. დოდაშვილი თავს იდანაშაულებს იმის გამოც, რომ ითმენს ძალის ბევრ ტკივილს მშობლიური ქვეყნისა და დამნაშავედ მიიჩნევს იმათაც, ვინც ასევე უხმოდ უყურებს სამშობლოს კვდომას. ქართველი გმირი აღიარებს, რომ უჭირს დათმობა სულისა, თუმცა აშკარად ხედავს, რომ ოფლის გარდა – სისხლიც სწყურია საქართველოს მიწას.

მონოლოგი სამი ნაწილისგან შედგება და სამივე იწყება ასე: „ვარ დამნაშავე“... პირველ შემთხვევაში დამნაშავეობა ახსნილია სიცოცხლით („ვარ დამნაშავე, – რამეთუ ვცხოვრობ“...), მეორეში – მოთმენით („ვარ დამნაშავე, – რამეთუ ვითმენ“...), ხოლო მესამეში – „სოფლის

დაუთმობლობით“ („ვარ დამნაშავე, – რამეთუ მიჭირს, ძალიან მიჭირს დათმობა სოფლის“...).

მკითხველის ყურადღებას იქცევს პოეტური სათქმელის რიტმულობა თუ ინტონაცია, აგრეთვე – სარიტმოდო ერთეულთა საოცარი წყვილები: „ვითმენ“ – „ვით მე“, „სოფლის“ – „ოფლი“ და სხვ.

„ვარ დამნაშავე, –
რამეთუ ვცხოვრობ.
ვხედავ:
სულს ვღაფავ თევზივით უხმოდ.
თუ ვქმნი რაიმეს, –
იმიტომ მხოლოდ, –
სასჯელი მინდა შევიმსუბუქო.
ვარ დამნაშავე, –
რამეთუ ვითმენ, –
რაც მესმის იმას
და რასაც ვხედავ.
დამნაშავეა სხვა ბევრი, ვით მე,
თვითონ არ იცის თუმცაღა ბევრმა.
ვარ დამნაშავე, –
რამეთუ მიჭირს,
ძალიან მიჭირს დათმობა სოფლის!
არადა მიწას,
მამულის მიწას, –
სწყურია სისხლი!
არ ჰყოფნის ოფლი!“

ყაყაჩოსავით მზეა წითელი

როცა უკვე დათქმული იყო საცეცხლე წერტები საქართველოდან რუსების გასარეკად, „იდედაკაცა ერთმა თურმე და გასცა შეთქმულთა დასი“... დადუმებულან თურმე საქართველოში ველებიც, ციხენიც – დადუმებულა ზარიც სვეტიცხოვლისა... მზე ყაყაჩოსავით წითელი ყოფილა მაშინ...

ამ გულსაკლავი ფაქტით ბოლოვდება 1832 წლის ლექსთა ციკლი (მუხრანის სათქმელი), რომელსაც, როგორც ითქვა, შეიძლება ეწოდოს პოემა-პიესა „ყაყაჩოსავით მზეა წითელი“:

„დუმან ველები.
დუმან ციხენი.
დუმს სვეტიცხოვლის ზარი.
ყაყაჩოსავით
მზეა წითელი
და მეცინება მწარედ“.

* * *

ლექსების ციკლის („1832“) ერთგვარ ბოლოთქმას წარმოადგენს წუხილი გულგატეხილი ადამიანისა, რომელიც „ტატოს მერანსლა“ ებლაუჭება (ლექსის სათაურია „გასწი!“):

„გამახსენდება როცა იასე
(ვინც არაერთხელ შემომელანძღა);
გულგატეხილი ადამიანზე, –
ვებლაუჭები ტატოს მერანსლა!

მამულის მიწას, – ყველაფრის მომთმენს, –
ამაოდ უჭირს შელევა ჩემი...
გასწი, გაჰკურცხლე და შემიმოკლე
მოუთმენელსა სავალნი დღენი!“

* * *

მუხრან მაჭავარიანის სტიქიაა სამშობლოს ხატი – პოეტურად აღბეჭდილი. აქ პოულობს იგი ტკივილისა და აღმაფრენის უსაზღვრო შესაძლებლობებს. ლექსების ციკლი „1832“ გაერთიანებულია ერთი საერთო იდეით – ბრძოლა თავისუფლებისათვის...

XX საუკუნეში – საქართველოს ძნელბედობის ჟამს – მუხრან მაჭავარიანმა მომავალ თაობებს ეროვნული თვითშეგნება გაუღვივა და გადაურჩინა, რაშიც ლომის წილი მიუძღვის ლექსების ციკლს „1832“.

* * *

ისტორიული გადანაცვლების ხერხი და მონოლოგი (როგორც მოქმედების სიტყვიერი საშუალება ამა თუ იმ პერსონაჟის წარმოსაჩენად), აგრეთვე – პოეტური რემარკები სათაურებსა და ფრჩხილებში ჩასმულ დამატებით ფრაზებში არის მუხრან მაჭავარიანის საპიესო ტექსტის ერთგვარი სტილბრივი ფორმა – ძალზე საინტერესო და არაორდინარული.

სათაურების მხოლოდ ჩამონათვალიც კი ნათლად წარმოაჩენს, თუ რა ამოუწურავი ინტერპრეტირების შესაძლებლობა მიეცემა პიესის დამდგმელ რეჟისორს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომ აღარაფერი ვთქვათ მუხრანისეული დიდოსტატობით ჩამოძერწილ ლექსზე, მის რითმულ-რიტმულ ყალიბზე... და როგორ დაამშვენებდა ის – „ყაყაჩოსავით წითელი მზე“ – ქართულ თეატრს.